# 1. ტექნიკური დოკუმენტაცია

## 1.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1.1.1 პირველადი საკვალიფიკაციო მონაცემები

- სატენდერო წინადადების წარდგენის დასრულების დროისათვის პრეტენდენტს უნდა ქონდეს საქართველოს მთავრობის ნებართვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე.

**1.1.2. იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

**1.1.3 არა ინდ. მეწარმე ფიზიკური პირებისათვის:**

1) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან ნასამართლეობის შესახებ;

2) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან, რომ მას არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

3) პირადობის მოწმობის ასლი;

2.2 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:

– „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე–2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ’’ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ.

2.3 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით.

2.4 პრეტენდენტის მიერ 1.1.2 და 1.1.3 პუნქტით წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. შეტყობინებაში მითითებულ დროს და მისამართზე. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.5 პრეტენდენტის მიერ 1.1.1 პუნქტით განსაზღვრული წარმოსადგენი პირველადი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნეს პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებასთან და ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

2.6 ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით

2.6.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში– ლარებში.

2.6.3 ანგარიშსწორება:

- ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 საბანკო დღეში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ავანსის საბანკო გარანტიას სახელშეკრულებო თანხის 50 %-ის ოდენობით. წარმოდგენილი საბანკო გარანტია ძალაშია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

- შემსყიდველი ავანსის საბანკო გარანტიის წარდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში გადაუხდის მიმწოდებელს საბანკო გარანტიაში აღნიშნულ თანხას.

- საავანსო თანხის ჩარიცხვის მომენტიდან მიმწოდებელი დაიწყებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

- შემსყიდველი მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურისა და შუალედური მიღება ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში აუნაზღაურებს მიმწოდებელს ანგარიშფაქტურით წარდგენილი თანხის 50%, ხოლო დანარჩენი 50 % ჩაითვლება ავანსად ჩარიცხული თანხის საკომპესაციოდ. (აღნიშნული პირობა ჩადებული უნდა იყოს საბანკო გარანტიაში)

2.6.4 საგარანტიო ვადა და პირობები
- არანაკლებ 2 წელი. დაზიანების თაობაზე შეტყობინებიდან რეაგირება 24 საათის განმავლობაში, აღდგენა: გათბობისა და კონდიცირების სისტემების, ელ. მომარაგების, სან. ტექნიკური კვანძების 2 (ორ) დღეში, სხვა დანარჩენ კვანძებზე ერთი კვირა.)

2.7 ტექნიკური დავალება

**საცხოვრებელი ფართის მოწყობისათვის**

**ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა**

1. მოსახსნელია არსებული ძველი შავი თუნუქის სახურავი – 336 მ$^2$.
2. მოსალარტყია შენობის არსებული სახურავის 60% – 201,6 მ$^2$.
3. გადასახურია მეტალოკრამიტის სახურავით – 336 მ$^2$.
4. მოსაწყობია წყალსანარი ღარი – 78 გ/მ.
5. სყალსაწრეტი მილები დ-100 – 31,2 გ/მ.
6. წყალსანარი ღარის სამაგრის მოწყობა – 78 ც.
7. ღარის კუთხე-შემკრების მოწყობა – 4 ც.
8. წყალსაწრეტი მილის სამაგრის მოწყობა – 31 ც.
9. დასანგრევია შენობაში არსებული ბეტონის კედელი – 28 მ$^2$.
10. ასაშენებელია ახალი კედელი სამშენებლო ნახევარბლოკით – 128 მ$^2$.
11. შენობის I სართულზე არსებულ საპირფარეშოზე მოსაწყობია გიფსო-კარდონის სახურავი ზომით 2,6X2,45 – 6,37 მ$^2$.
12. ჩამოსაფხეკია და გასაწმენდია შენობის არსებული ყველა კედლები – 930,75 მ$^2$.
13. გაწმენდილი კედლები შესაფითხი და შესაღებია ზეთოვანი საღებავით – 930,75 მ$^2$.
14. ქვიშა-ცემენტის ხსნარით შესალესია ფასადის და შენობის არსებული კედლები – 421,68 მ$^2$.

15. ოთახებში ჩასასმელია მეტალოპლასტმასის ფანჯრები სამფრთიანი ზომით 1,9X1,55 – 9 ცალი – 26,51 მ$^2$.
16. ყრუ ფანჯარა ზომით 1,9X1,55 – 2 ცალი – 4,57 მ$^2$.
17. ოთხფრთიანი ფანჯარა ზომით 2,5X2,3 – 2 ცალი – 11,5 მ$^2$.
18. ყრუ ფანჯარა ზომით 0,6X0,6 – 4 ცალი – 1,44 მ$^2$.
19. დასამონტაჟებელია რკინის კარი ორფრთიანი ზომით 1,62X2,30 – 1 ც.
20. რკინის კარი ორფრთიანი ზომით 1,3X2,47 – 1 ც.
21. რკინის კარი ერთფრთიანი ზომით 1,12X2,2 – 1 ც.
22. მოსაწყობია შიდა მზა კარები ზომით 0,9X2,4 – 22 ც.
23. შიდა მზა კარი ზომით 0,7X2,0 – 4 ც.
24. ასაყრელია ამორტიზირებული ხის იატაკი – 140 მ$^2$.
25. იატაკი მოსაწყობია ლამინატის დასაგებად – 140 მ$^2$.
26. მომზადებულ იატაკზე დასაგებია ლამინირებული პარკეტი – 140 მ$^2$.
27. ოთახში გასაწმენდი, შესაფითხი და შესაღებია ჭერი წყალემულსიით – 261,92 მ$^2$.
28. სამზარეულო და სასადილო ოთახის იატაკის 2 სმ-ზე მოსაყრელია ღორღი – 59,79 მ$^2$.
29. სამზარეულო და სასადილო ოთახის იატაკზე მოსაჭიმია ბეტონი – 59,79 მ$^2$.
30. მოსაწყობია სველი წერტილები – ნიჟარა – 10 ც.
31. აბაზანა – 4 ც.
32. უნიტაზი – 5 კომპ.
33. ჰაერგამწოვი – 6 ც.
34. ტრაპი – 6 ც.
35. მოსაწყობია ელ. გაყვანილობა – კარობკა – 78 ც.
36. კარობკა გამანაწილებელი – 35 ც.
37. ჩამრთველ-ამომრთველი – 35 ც.
38. როზეტი – 43 ც.
39. ავტომატური ამომრთველი 400 ა – 1 ც.
40. ავტომატური ამომრთველი 32 ა – 9 ც.
41. ელ. სადენი – 490 გ/მ.
42. კაბელი 4*35 – 50 გ/მ.
43. ოთხი სააბაზანოს კედელზე გასაკრავია კაფელი – 96,48 მ$^2$.
44. I სართულის საპირფარეშოს კედელზე გასაკრავია კაფელი – 23,23 მ$^2$.
45. სამზარეულო და სასადილო ოთახებში ნიჟარის ირგვლივ გასაკრავია კაფელი – 10 მ$^2$.
46. II სართულზე საპირფარეშოს ჭერი მოსაწყობია პლასტიკატით – 21,01 მ$^2$.
47. I სართულის საპირფარეშოს ჭერი მოსაწყობია პლასტიკატით – 6,37 მ$^2$.
48. დასაგებია მეტლახი:
    48.1 სააბაზანოს იატაკზე – 21,01 მ$^2$.
    48.2 II სართულზე სამზარეულო ოთახების იატაკზე – 32,17 მ$^2$.
    48.3 I სართულის სამზარეულოს იატაკზე – 19,83 მ$^2$.
    48.4 I სართულის სასადილოს იატაკზე – 39,95 მ$^2$.
    48.5 I სართულის საპირფარეშოს იატაკზე – 6,37 მ$^2$.
    48.6 I სართულის საწყობის იატაკზე – 8,96 მ$^2$.
    48.7 შუშაბანდის იატაკზე – 9,5 მ$^2$.
    48.8 I სართულის შესასვლელის იატაკზე – 6,65 მ$^2$.
49. გასაწმენდი და შესაღებია კიბის მოაჯირები – 11 გ/მ.
50. შენობის ფასადი მოსაწყობია დეკორატიული ნაშხეფით – 552,24 მ$^2$.

ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს თანდართული ფორმის მიხედვით.

**ხარჯთაღრიცხვის ფორმა**

| # | დასახელება | განზ ერთ | რაოდენობა | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. | ჯამი (ლარი | ერთ. | ჯამი (ლარი | ერთ. | ჯამი (ლარი | ჯამი |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფასი (ლარი) | ) | ფასი (ლარი) | ) | ფასი (ლარი) | ) | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | ჯამი | | | | | | | | | |
| | ზედნადები ხარჯები | | | | | | | | | |
| | ჯამი | | | | | | | | | |
| | გეგმიური დაგროვება | | | | | | | | | |
| | ჯამი | | | | | | | | | |
| | დღგ | | | | | | | | | |
| | სულ ჯამი | | | | | | | | | |

მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი იქნება წარმოდგენილი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდა.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

ვახტანგ მოლაშხია 895 30 99 12, 8 215 5 22 94, ელ. ფოსტა

vakho.molashkhia@engurhesi.ge

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

## ხელშეკრულება #

შპს „ენგურჰესი", იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამ.50, ფაქ. მდებარე გალის რ-ნი დას. საბერიოში, (საფ/მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი), შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ლ. მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოოს წესდების შესაბამისად, ერთის მხრივ და

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------- (შემდგომში „მიმწოდებელი") რომელიც მოქმედებს ასევე საწარმოს წესდების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

**პრეამბულა**

- მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად გამოხატავს მათ ნებას და თანაბრად იცავს უფლებებს, არცერთი მხარე არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით.
- მხარეები სრული პასუხისმგებლობით ადასტურებენ და იძლევიან გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მოვალეობად სამართლებლივ დოკუმენტს.
- მხარეები არაორაზროვნად და სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ თითოეული მათგანი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- მხარეები იძლევიან გარანტიას და ადასტურებენ, რომ მათ გააჩნიათ სრული სამართლებრივი უფლებამოსილება აღნიშნული ხელშეკრულების გასაფორმებლად.

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში-„ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" –საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე"- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამშენებლო სამუშა" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. "ტექნიკური დავალება" – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **შესყიდვის ობიექტია:**
- საცხოვრებელი ფართის მოწყობა

## 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები.

3.1 სახელშეკრულებო ფასი შეადგენს: ---------------------------------------------------- ლარს ყველა ხარჯისა და კანონით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;
3.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო;
3.3 ანგარიშსწორება:

- ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 საბანკო დღეში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ავანსის საბანკო გარანტიას სახელშეკრულებო თანხის 50 %-ის ოდენობით. წარმოდგენილი საბანკო გარანტია ძალაშია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

- შემსყიდველი ავანსის საბანკო გარანტიის წარდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში გადაუხდის მიმწოდებელს საბანკო გარანტიაში აღნიშნულ თანხას.

- საავანსო თანხის ჩარიცხვის მომენტიდან მიმწოდებელი დაიწყებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

- შემსყიდველი მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურისა და შუალედური მიღება ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში აუნაზღაურებს მიმწოდებელს ანგარიშფაქტურით წარდგენილი თანხის 50%, ხოლო დანარჩენი 50 % ჩაითვლება ავანსად ჩარიცხული თანხის საკომპესაციოდ. (აღნიშნული პირობა ჩადებული უნდა იყოს საბანკო გარანტიაში)

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
4.2 სამუშაოს მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს კორდინატორი: შპს „ენგურჰესის" შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის სპეციალისტი –რ. ლაგვილავა
4.3 კორდინატორი წარუდგენს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ანგარიშს სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ.

## 5. მხარეთა უფლებები და მოვალეობანი

5.1 "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
- მკაცრად დაიცვას სამუშაოს დამთავრების სახელშეკრულებო ვადები, უზრუნველყოს სათანადო ხარისხი;
- სამუშაოს უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში 5 დღის ვადაში აღმოფხვრას ნაკლოვანებები დამატებითი ანაზღაურების გარეშე;
- მკაცრად დაიცვას შრომის დაცვის, უსაფრთხოების წესები და ნორმები;

5.2 " შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

– სამუშაოს დასრულების შემდეგ დროულად აუნაზღაუროს “ მიმწოდებელს ” შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

## 6. სამუშაოს შესრულების პირობები.

6.1. მომწოდებელი ვალდებულია სამუშაო შეასრულოს საკუთარი სამშენებლო მასალებით.

6.2. შესასრულებელი სამუშაოს ხანგრძლივობა განისაზღვრება 100 დღით ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობები

8.1 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.
8.2 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალი.
8.3 იმ შემთხვევაში, თუ “ მიმწოდებელი” 7 დღეზე მეტად გადააცილებს სამუშაოს შესრულების ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა “ შემსყიდველის” წინაშე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.
8.4 გადახდის დაგვიანების შემთხვევაში “ შემსყიდველი” გადაიხდის “ მიმწოდებლის” სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0,07%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 9. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა.

9.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

9.2. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.

9.3. ფასთა ცვლილება განიხილება სამუშაოთა მოცულობაში ცვლილებების ან/და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში

## 10. ფორს - მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ფორს-მაჟორულ სიტუაციებში;

10.2. ფორს-მაჟორული გარემოება ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, გარემოებას და ან მათ კომბინაციას, რომელიც არ არის კონტროლირებადი არც ერთი მხარის მიერ და რომელმაც (ან რომლის შედეგმაც) შეიძლება მნიშვნელოვნად და უარყოფითად იმოქმედოს მოცემული მხარის უნარზე შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომელიც წარმოიშვება ამ ხელშეხრულების მიხედვით, თუმცა იმ პირობით, რომ ასეთი მოვლენა, გარემოება და ან მათი კომბინაცია არ ჩაითვლება ფორს-მაჟორულ გარემოებად, თუ იგი არ შეიძლებოდა მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილებულ ან გამოსწორებული ყოფილიყო დამკვეთი მხარის მიერ.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც ვერ იქნება კონტროლირებადი მხარეთა მიერ: საომარი მოქმედება (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), ბლოკადა, რევოლუცია, რადიოაქტიური დაბინძურება ან იონიზირებული რადიაცია, ხანძარი, მიწისძვრა, შტორმი, ციკლონი, ეპიდემია, საქართველოს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია 2011წლის 31 აგვისტომდე.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების საერთო ვადის დენა იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდ

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. მხარეები წამოჭრილ სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით წერილობითი შეტყობინებების და შესაბამისი წესით გაფორმებული დოკუმენტების საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას, სადაო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

| | |
|---|---|
| “შემსყიდველი” | “მიმწოდებელი” |
| შპს „ენგურჰესი” | |

ს/კოდი 251716371

გალის რ-ნი დას. საბერიო

სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისი
ფილიალის ზუგდიდის განყოფილება

ა/ა 301467126,    ბ/კოდი 220101929

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

-------------------- ლ. მებონია